# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№25 (9.834)
7-14 ივლისი 2018 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა


## სოფლის მეურნეობის მინისტრი დედოფლისწყაროში



გვ.3

## პარლამენტმა მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცა

გვ.2

## „10 ქართული ღვინო, რომელიც უნდა გასინჯო, სანამ ცოცხალი ხარ“



გვ.4

## ხანძარი დიდნაურსა და ენამთაში

„არც კომბაი-ნები და არც სხვა ტექნიკა არ არის აღჭურვილი ცე-ცხლმაქრებითა და ნაპერწკალ-ჩამქრობით, რაც აალების საფრ-თხეს ქმნის“



გვ.4

## წითელას 4 შემთხვევა დედოფლისწყაროში



გვ.5

## ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობისთვის....

გვ.8





გვ.2

## ნენსკრაჰესის მშენებლობა შეჩერდება?!

# პარლამენტმა მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცა

პარლამენტმა მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ წარდგენილი საკანონმდებლო პაკეტი დაამტკიცა. 116 კანონპროექტისგან შემდგარი პაკეტი რიგგარეშე სხდომის ფორმატში დაჩქარებული წესით განიხილეს და მიიღეს. ე.წ. მცირე მთავრობის ინიციატივას მესამე მოსმენით 81-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

"მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონში ცვლილების თანახმად, მთავრობის ახალ სტრუქტურაში 10 სამინისტრო და 1 სახელმწიფო მინისტრის აპარატი იქნება.

ცვლილებები შემდეგ უწყებებს შეეხება: - კულტურისა და სპორტის სამინისტრო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეერწყმება; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში ერთიანდება; ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტრო უქმდება, ხოლო მისი ფუნქციები სამ სხვადასხვა სამინისტროზე გადანაწილდება: - დევნილთა განსახლების ფუნქცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადავა, მიგრაციის კომპონენტს შინაგან საქმეთა სამინისტრო შეითავსებს, ხოლო სოციალური პოლიტიკა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაეცემა. რეპატრიაციის მიმართულება გადაეცემა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს.

ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი განვითარების კომპონენტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადავა.

ამასთან, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელწოდება შეიცვლება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროთი, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელწოდება - ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთი.

მცირე მთავრობის კონცეფციამ უნდა უზრუნველყოს მთავრობის საქმიანობის ეფექტურობა უფრო მეტად, ვიდრე ეს აქამდე იყო, - ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა განუცხადა.

„მივიღეთ შემცირებული მინისტრთა კაბინეტი, რომელშიც განსხვავებულად არის გადანაწილებული ფუნქციები და შესაბამისად, მინისტრთა კაბინეტის ამ ფორმით შემცირებამ, რომელსაც ბუნებრივია, ქვედა რანგში ცვლილებები მოჰყვება, უნდა უზრუნველყოს მთავრობის საქმიანობის ეფექტურობა უფრო მეტად, ვიდრე ეს აქამდე იყო. მიზანი ცვლილების ეს არის. მცირე მთავრობის კონცეფცია საქართველოსნაირი ქვეყნისთვის არის სწორი. პარლამენტმა დაუჭირა მხარი, დანარჩენი გამოჩნდება სამუშაო პროცესში", -აღნიშნა ჩუგოშვილმა.

# ახალი მთავარი პროკურორის მოლოდინში...

***მთავარი პროკურორის პოსტისთვის, თავდაპირველად, 21 კანდიდატი იბრძოდა, თუმცა, 3 მათგანი მარათონს გამოეთიშა. ამჯერად ბრძოლას მთავარი პროკურორის სკამისთვის 17 კანდიდატი განაგრძობს.*** მათგან "ქართული ოცნების" ფავორიტად 2 კანდიდატი უკვე გამოკვეთილია, პირველია შალვა თადუმაძე, ვინც ამჟამად მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელია, "ოცნების" მეორე ფავორიტია ირაკლი ნადარეიშვილი. ის მოქმედი პროკურორი და იმ დეპარტამენტის ხელმძღვანელია, რომელიც სამართლიანობის აღდგენაზეა პასუხისმგებელი. ახალი მთავარი პროკურორი ქვეყანას 3 კვირაში ეყოლება. საპროკურორო საბჭოში მთავარი პროკურორობის მსურველთა რეგისტრაცია გუშინ დასრულდა. მსურველი სულ 21 ადამიანია. მათგან 3 კანდიდატი იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა უნდა შეარჩიოს და შემდეგ საპროკურორო საბჭოს წარუდგენს, რომელიც, თავის მხრივ, 1 კანდიდატს შეარჩევს და ის ჯერ მთავრობას, შემდეგ კი პარლამენტს წარედგინება დასამტკიცებლად. დამტკიცებას 76 დეპუტატის ხმა სჭირდება.

**მთავარი პროკურორი 6 წლის ვადით აირჩევა, თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ 2012 წლიდან დღემდე "ოცნებამ" 4 მთავარი პროკურორი აირჩია და არც ერთ მათგანს უფლებამოსილების ვადის ნახევარიც კი არ დაუსრულებია. მათ შორის ოთარ ფარცხალაძე და ირაკლი შოთაძე სკანდალის შემდეგ გადადგნენ.** 17-კაციან სიაში რამდენიმე ცნობილი სახეა, თუმცა ოპოზიცია და უფლებადამცველები დარწმუნებული არიან, რომ მთავარი ბრძოლა შალვა თადუმაძესა და ირაკლი ნადარეიშვილს შორის გაიმართება. ცნობილი სახეებიდან სიაში ასევე არის "ევროპული საქართველოს" მიერ წარდგენილი კანდიდატი შალვა შავგულიძეც, თუმცა მისი შანსები ძალიან მცირეა, რადგან ის "ოცნების" ოპოზიციაშია. მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესს ბოიკოტი გამოუცხადეს არასამთავრობოებმა. მათი შეფასებით, შერჩევის პროცესი არაერთ კითხვას აჩენს და 21-კაციან სიაში ნეიტრალური კანდიდატები არ არიან. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ორი დღის წინ მთავრობას საგანგებოდაც მიმართეს და რამდენიმე თვით მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესის შეჩერება მოითხოვეს, თუმცა მმართველმა პარტიამ მესამე სექტორის მოთხოვნას კატეგორიული უარით უპასუხა.

ძალიან დაბალია შანსი, საბოლოოდ ისეთი კანდიდატი იყოს არჩეული, ვისაც ექნება მაღალი ლეგიტიმაცია, ვინც იქნება დამოუკიდებელი. მთელი პრობლემა ისაა, რომ დღეს არსებული წესით, კანდიდატმა უნდა გაიაროს მთავრობა და პარლამენტი, ვინც პოლიტიკური ინტერესის მატარებელი იყოს ამ პროცესში, რომ მთავარ პროკურორად ჰყავდეს ადამიანი, ვისზეც მას მეტი ნდობა ექნება და არა ის, ვინც შეიძლება, დამოუკიდებელი იყოს", - აცხადებს საია-ს თავმჯდომარე სულხან სალაძე. პირდაპირი და კატეგორიული იყო პრეზიდენტის ადმინისტრაცია. გიორგი მარგველაშვილის საპარლამენტო მდივანმა ანა ნაცვლიშვილმა ღიად განაცხადა: "თუ მთავარი პროკურორობის კანდიდატურის წარმდგენი ისევ თეა წულუკიანი იქნება, მაშინ ამ პროცესს საზოგადოების თვალში ვერანაირი ნდობა ვერ ექნება". პროცესს უნდობლობას უცხადებს ოპოზიციაც. ისინი აცხადებენ, რომ ყველაფერი წინასწარ შეთანხმებული იყო, "ოცნება" თავის ფავორიტს გაიყვანს და არა - საზოგადოებისთვის მისაღებ ფიგურას.

ვინ გახდება ქვეყნის მთავარი პროკურორი, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს და ბევრ კითხვასაც პასუხს გასცემს.

# ნენსკრაჰესის მშენებლობა შეჩერდება?!



***მესტიაში გიგანტური ჰესის მშენებლობამ ხეობის უსაფრთხოება კიდევ ერთხელ დააყენა ეჭვქვეშ. ჭუბერში მეწყერის ჩამონქოლის შემდეგ ჰესების ავკარგიანობის საკითხზე დისკუსია გრძელდება. ადგილობრივები ამბობენ, რომ მათ ნახეს "გაბრაზებული მდინარე", რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება. ისინი შიშობენ, რომ ნენსკრაჰესის არსებობის შემთხვევაში, საფრთხე მეტი იქნებოდა, რასაც სპეციალისტების ნაწილი არ იზიარებს. ფაქტია, რომ სვანეთის ბუნება ადამიანის ჩარევას ვერ იტანს. კომპანია "ნენსკრა ჰიდროს" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მშენებლობა გარკვეული ვადით გაჩერდება, თუმცა არანაირი ცვლილება პროექტში არ მოხდება. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მოსახლეობას დავეხმაროთ. არ არის საუბარი იმაზე, რომ მეწყერის ჩამონქოლის გამო, ჩვენ განვიხილავთ პროექტის მთლიანად შეწყვეტას, დღის წესრიგში ეს საკითხი არ დგას, თუმცა ვადასტურებთ, რომ პროექტი გარკვეული ვადით გაჩერდება, რაც შექმნილ ვითარებაში ბუნებრივია. არანაირი ცვლილება პროექტში არ მოხდება", - განაცხადეს "ნენსკრა ჰიდროში".***

როგორც კომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 2018 წლის დასაწყისიდან დღემდე ნენსკრაჰესის მოსამზადებელი სამუშაოები ისედაც გაჩერებულია. იგი გულისხმობდა მხოლოდ არსებული გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას. შესაბამისად, არანაირი ზეგავლენა ბუნებაზე მათ არ მოუხდენიათ. გარდა ამისა, სტიქიური მოვლენა წარმოიშვა სამშენებლო ტერიტორიიდან 5 კილომეტრის ქვემოთ, მდინარის მიმართულებით. მესტიის მუნიციპალიტეტ ჭუბერში მთის ნაწილი 5 ივლისს 13 საათზე ჩამოიშალა, რამაც მდინარე ნენსკრას ადიდება გამოიწვია. მოვარდნილმა წყალმა შიდა სასოფლო გზების დამაკავშირებელი 5 ხიდი, საკარმიდამო ნაკვეთები და დამხმარე ნაგებობები წაიღო. საცხოვრებელი სახლების ქვედა სართულები დატბორა. მესაზღვრეების ინფორმაციით, სვანეთში მთა მეორედ დღის მეორე ნახევარშიც ჩამოიშალა. ადგილზე ახლაც რთული ვითარებაა და ხალხი დახმარებას ელოდება. მესტიის გამგებლის კახა ჟორჟოლიანის განცხადებით, სტიქიური შემთხვევისას ზარალი დიდია. ჭუბერის თემში წაღებულია გზები და ხიდები. "მოხდა მდინარის შენაკადის დაგუბება, ერთბაშად გაარღვია და წამოიღო მცენარეები და რაც კი შეხვდა გზაში. წყალი შევარდა ეზოებში, სახლებში. ზარალი ძალიან დიდი გვაქვს. საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და დამხმარე ნაგებობებია წაღებული. მოქალაქეები, ვისაც საფრთხე ემუქრება, ღამეს ახლობლების ოჯახებში გაათენებენ", - აღნიშნა ჟორჟოლიანმა.

თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ნინო ვიბლიანმა ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა, რომ მთის ჩამოშლა, სავარაუდოდ, გვიან ღამით მოსულმა ნალექმა განაპირობა და მას ჰესის მშენებლობასთან კავშირი არ აქვს. სპეციალისტები საკითხს სვამენ პირიქითაც, როგორ იმოქმედებდა სტიქია ჰესზე, რომ მისი მშენებლობა ამ დროისთვის დასრულებული ყოფილიყო. აქაც აზრთა სხვადასხვაობაა. ენერგეტიკოსი მირონ ფირცხელანი განმარტავს, რომ წყალსაცავი, არსებობის შემთხვევაში, ხეობას დაიცავდა. "ჰესის მშენებლობის პროცესთან მეწყერის დაკავშირება ცოტა უხერხული თემაა. ჩვენ ვიცით, რომ არ ყოფილა ისეთი მასშტაბური სამუშაო, რომ გარემოზე ზემოქმედება მოეხდინა. რომც დაწყებულიყო ეს პროცესი, სტიქიას ნამდვილად არ გამოიწვევდა. ჰესთან მიმართებაში საფრთხე არ არის, პროექტი ნანახი მაქვს და დამაჯერებლად შემიძლია თქმა, რომ ის მაქსიმალურად დაცულია, მაღალ დონეზე კეთდება და მსგავსი რისკი გათვალისწინებულია. გაუმართლებელია რამე კავშირის გამოძებნა, გვირაბების მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. ამჟამად მუშაობენ გამოკლევებზე იქ, სადაც კაშხალი უნდა აშენდეს და გზის პროფილზე".

ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა კატეგორიულად ემიჯნება აზრს, რომ ჰესის მშენებლობის პროცესს მეწყერის გამოწვევა შეეძლო. ისინი ამბობენ იმასაც, რომ გიგანტური ჰესების მშენებლობის საკითხს დღეიდან მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ. ჭუბერის მკვიდრი მინდია გურჩიანი ამბობს, რომ საფრთხე ნებისმიერ დროს შეიძლება გაჩნდეს, ამიტომ მეტი დაფიქრებაა საჭირო - ასეთი რისკის ფონზე რამდენად მიზანშეწონილია ნენსკრაჰესის მშენებლობა. ამავე სოფლის კიდევ ერთი მკვიდრის, გია ვიბლიანის თქმით, ამ ეტაპისთვის სამაშველო სამსახურები მობილიზებულია, სოფლის თავზე ვერტმფრენიც გამოჩნდა და სრული მზადყოფნაა, რომ მოსახლეობას დაეხმარონ. ამ მომენტისთვის "ნენსკრა ჰიდროს" თანამშრომლებს აქვთ უწყვეტი კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. შესაძლებლობების ფარგლებში, კომპანიის მიერ სასწრაფო წესით იქნება მობილიზებული ტექნიკა, რათა შესაბამისი დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივ მოსახლეობას".

**სტიქიის ადგილზე ჩავიდნენ მთავრობის წარმომადგენლები. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები ადგილზე აკონტროლებენ ვითარებას. მაშველები დახმარებას უწევენ მოსახლეობას, რომლებიც საავტომობილო გზების დატბორვის გამო ფაქტობრივად ვერ გადაადგილდებიან.**

**სოფელში მობილიზებულია დამატებითი სამაშველო ჯგუფები და ტექნიკა. როგორც საგანგებო შტაბში აცხადებენ, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება მოსახლეობის ევაკუაცია.**

ჩვენ მზად ვართ სცენარის ნებისმიერი განვითარებისთვის, - ამის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი მღებრიშვილმა განუცხადა.

გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, ამ ეტაპზე მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. მისივე თქმით, ამ ეტაპზე ფართომასშტაბიანი სალიკვიდაციო სამუშაოები არ დაწყებულა, ვინაიდან კვლავ დიდია მდინარის წყლის დონე.

„მობილიზებულები ვართ როგორც საგანგებო სიტუაციების სამსახური, ასევე შს სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება და ჩვენ ყველანაირად მზად ვართ, რა რაოდენობის ნალექიც არ უნდა მოვიდეს, რომ მოსახლეობას საფრთხე არ შეექმნას. ჩვენ მზად ვართ სცენარის ნებისმიერი განვითარებისთვის. ფართომასშტაბიანი სალიკვიდაციო სამუშაოები არ არის დაწყებული, რადგან ველოდებით წყლის დონის დაკლებას. ამავდროულად, ინფრასტრუქტურა მოშლილია", - განაცხადა მღებრიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი მაღალმთიან სოფელში არსებულ ვითარებას და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს გაეცნო.

პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის შეფასებით, ჭუბერში შექმნილ ვითარებას ხელი ტყის უსისტემო ჭრამაც მნიშვნელოვნად შეუწყო. სტიქიის მიზეზებზე პრემიერმა ჟურნალისტებთან ჭუბერში ისაუბრა.

**„პირველადი შეფასებით, რა თქმა უნდა, სტიქია ჭარბმა ნალექმა გამოიწვია, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ტყის უსისტემო ჭრამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი და ვინც ამით იყო დაკავებული, ამ ხალხსაც აუცილებლად მივხედავთ.**

**ტყის უსისტემო ჩეხვა არ შეიძლება. ესაა ჩემი პასუხი. მაგრამ ეს კონკრეტული შემთხვევა, როგორც სპეციალისტები გვეუბნებიან და ამის ყველა ნიშანი არსებობს, გამოიწვია უხვი ნალექსის მოსვლამ. ამისგან დაზღვეული არავინ არის. ამ შემთხვევაში ჩვენი პასუხი უნდა იყოს, რომ გვქონდეს გამართული სწრაფი რეაგირების და ადრეული შეტყობინების სისტემები, რომლებიც საქართველოში გვაქვს ორი და უნდა გაკეთდეს ყველგან", - განაცხადა ბახტაძემ.**

**რაც შეეხება შეკითხვას, რამდენად შეიძლება მესტიაში ჰესის მშენებლობის საკითხი გადაიხედოს, პრემიერმა აღნიშნა: „დასკვნა როდესაც დაიდება, თუ რას უკავშირდება მომხდარი, ამისდა მიხედვით მივიღებთ გადაწყვეტილებას".**

# სოფლის მეურნეობის მინისტრი დედოფლისწყაროში



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ალოობა აქტიურ ფაზაში შევიდა. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი დედოფლისწყაროს ეწვია და რეგიონის გუბერნატორთან, ირაკლი ქადაგიშვილთან, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტართან, ირაკლი შიოლაშვილთან და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად შირაქის ველზე ხორბლის მოსავლის აღების პროცესს დაესწრო.

დედოფლისწყაროში თავთავიანი კულტურის მოსავლის აღებას შპს ,,მექანიზატორი“ ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში მოსავლიანობა რეკორდულ მჩვენებელს აღწევს. მოსავლის სიუხვით გასულ წლებს არც მიმდინარე წელი ჩამოუვარდება.



# საჩუქარი — სოციალურად დაუცველებს



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის მოადგილესთან , მალხაზ მერაბიშვილთან და სოფელ მირზაანში მერის წარმომადგენელთან, აკაკი თარაშვილთან ერთად მირზაანში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ კურტანიძეებისა და კირელგიანების ოჯახებს საკვები პროდუქტები მიუტანა. მერი მირზაანის მოსახლეობასაც შეხვდა და არსებულ პრობლემებზე ინფორმაცია პირადად მათგან მოისმინა. ნიკოლოზ ჯანიშვილმა მირზაანელებთან საუბარში სოფელში დაგეგმილ პროექტებზეც ისაუბრა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, საქველმოქმედო ღონისძიებები მომავალშიც გაგრძელდება.



# ხანძარი დიდნაურსა და ენამთაში

## „არც კომბაინები და არც სხვა ტექნიკა აღჭურვილი არ არის ცეცხლმაქრებითა და ნაპერწკალჩამქრობით, რაც აალების საფრთხეს ქმნის“

***4-5 ივლისს ხანძრის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. კომბაინის ძრავიდან გაჩენილი ხანძრის შედეგად გლეხების კუთვნილი 3 ჰექტრამდე ხორბლის ყანა განადგურდა. 110 ჰექტარი ხორბლის ნათესის გადარჩენა კი სახანძრო სამაშველო სამსახურის ეკიპაჟებმა დროულად შეძლეს. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, გადარჩენილი ყანა გია ზურაშვილს ეკუთვნის. საერთო ჯამში ე.წ. დიდნაურის ტერიტორიაზე ცეცხლი 20 ჰექტარზე გავრცელდა, სადაც, ძირითადად, მიწის ის ნაკვეთები დაიწვა, სადაც მარცვლეული უკვე აღებულია.***

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დედოფლისწყაროს ფილიალში ამბობენ, რომ კომბაინები არ არის აღჭურვილი ცეცხლმაქრებითა და ნაპერწკალჩამხშობით, რაც აალეებას იწვევს. უსაფრთხოების ნორმები არ აქვს დაცული არც სოფლის მეურნეობის სამინისტროს კუთვნილ ტექნიკას. როგორც დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსი ინსპექტორი დავით სულაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ ხანძრის რისკის შესამცირებლად აუცილებელია მინდვრად მომუშავე ტექნიკა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს აკმაყოფილებდეს.

„4 ივლისს, 13:37 წუთზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემოვიდა შეტყობინება, რომ სოფელ სამრეკლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ. დიდნაურზე იწვოდა ხორბლის ყანა და ნაკვეთში მომუშავე კომბაინი. ტექნიკური გაუმართაობის გამო კომბაინს ძრავის ნაკვეთურებში მოკლე ჩართვა დაუფიქსირდა, რამაც აალება გამოიწვია. ხანძრის მყისიერი პირველადი რეაგირება მოახდინა სამმა ერთეულმა სახანძრო ჯგუფმა, რომლებმაც უმოკლეს დროში მოახერხეს ხანძრის ლოკალიზება და დროული ლიკვიდაცია. მეხანძრე მაშველების მაღალპროფესიული მუშაობის შედეგად მოხერხდა როგორც კომბაინის, ისე 100 ჰექტარზე მეტი ხორბლის ნათესის გადარჩენა. დამწვარია 2,5 ჰა ხორბლის ყანა და 15 ჰა ხმელი ბალახი და მომკილი ნაკვეთი. კომბაინის მძღოლი იმდენად დაიბნა, ისიც ვერ მოიაზრეს, რომ კომბაინი გაერიდებინა ხანძრის კერისთვის და ტექნიკა იმავე ადგილზე დატოვა. ჩვენ შევძელით, რომ ცეცხლი კომბაინამდე არ მოგვეშვა. ბოლო დღეებში ზედიზედ ხანძრის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა, ჩვენი სამსახური მყისიერ რეაგირებას ახდენს. არცერთ ტექნიკას, რომელიც დღეს დედოფლისწყაროში მუშაობს, ეს იქნება კომბაინი, ტრაქტორი, თუ სხვა, არანაირი სახანძრო-უსაფრთხოების ნორმები არ აქვს დაცული. მათ არ აქვთ ცეცხლმაქრი, მაყუჩზე არ აქვთ დაყენებული ე.წ. ნაპერწკალდამხშობი მოწყობილობა და ა.შ. სამწუხაროდ, არ იცავენ უსაფრთხოების სტანდარტებს, რაც ხანძრის რისკს ზრდის,“ – განუცხადა „შირაქს“ დავით სულაშვილმა.





შემთხვევის ადგილზე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებიც იმყოფებოდნენ. დედოფლისწყაროს მერი ამბობს, რომ გასული წლებისგან განსხვავებით მინდვრად საველე მობილური სახანძრო საგუშაგოები ჯერ არ ამოქმედებულა, თუმცა, ისინი მალე გაიხსნება. მისი განმარტებით, ამის მიუხედავად, ხანძრების ლოკალიზება ეფექტურად მოხერხდა.

„მიუხედავად მაღალი ტემპერატურისა, რაც დედოფლისწყაროში ალოობა დაიწყო, მანამდე ხანძარი არ გაჩენილა. ეს პირველი შემთხვევები იყო. საველე მობილური სახანძრო სადგურების ამოქმედება დედოფლისწყაროში აპრობირებული მეთოდია, ყოველი წლის ალოობისთვის მინდორში ამოქმედდება ხოლმე დამატებითი საგუშაგო. ამ დრომდე ისინი ჯერ არ გახსნილა, მაგრამ უახლოეს დღეებში, ამოქმედდება. მოსახლეობაც უფრო იმედიანად არის, როცა ხედავს, რომ სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟები მინდვრად მორიგეობენ და მათი გამოძახების დროს გზაში დიდი დრო არ დაიკარგება. საერთოდაც, ივლისში იხსნება ხოლმე ამგვარი საველე სადგურები, მაგრამ ის, რომ ისინი ჯერ არ ამოქმედებულა, ამას ხანძრებთან ბრძოლაში ხელი არ შეუშლია. საკმაოდ ოპერატიულად შეძლეს რეაგირება და ხანძრის ჩაქრობა. შემდეგ ოპერატიული მუშაობით შევძელით სახნავი ტექნიკის ადგილზე მობილიზება, „მექანიზატორის“ თანამშრომლებიც დროულად შემოგვიერთდნენ, რის დახმარებითაც შემოიხნა გვერდები და ცეცხლის გავრცელება თავიდან ავირიდეთ. – ამბობს დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

ხანძრიდან მესამე დღეს, 6 ივლისს შირაქში მეხანძრეთა მობილური საველე საგუშაგო ამოქმედდა, სადაც მაშველები ყოველდღიურად იმორიგევებენ.

ილია მარტყოფლიშვილი

# „10 ქართული ღვინო, რომელიც უნდა გასინჯო, სანამ ცოცხალი ხარ“

ქართული ღვინო ისტორიით ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. საქართველოში ღვინის კულტურის თითქმის 7000 წლიანი არსებობა ქვეყანას ღვინის სამშობლოს სტატუსს ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა, არც ერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს "ვაზის ჯვრის კულტი".

მაისის თვეში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა პროექტი „10 ქართული ღვინო, რომელიც უნდა გასინჯო, სანამ ცოცხალი ხარ“, სადაც მონაწილეობა მიიღო 300 ათასზე მეტმა გამოკითხულმა. პროექტის ფარგლებში გამარჯვებულ 10 ღვინოს შორის მოხვდა „ახალშენი 2005“-ში დამზადებული ბოთლის ღვინო „საფერავი“, რომლის დირექტორიც გახლავთ ჩვენი თანამემამულე, დედოფლისწყაროელი მეღვინე, ქველმოქმედი და ინტელექტუალი, ყველასთვის კარგად ცნობილი ვაჟა ოზაშვილი. გთავაზობთ მასთან ჩაწერილ ინტერვიუს:

მინი დოსიე: **დაიბადა ქ. დედოფლისწყაროში, დაამთავრა №2 საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, მეღვინეობის სპეციალობით, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.**

***– ბატონო ვაჟა, გვიამბეთ თქვენი ღვინის საწარმოს თაობაზე და პროექტში გამარჯვებაზე...***

– 1966 წელს დაფუძნებულა „ოკამის“ ღვინის ქარხანა, რომლის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს დღეს ჩვენი კომპანია „ახალშენი 2005“, სადაც შესაძლებელია, წელიწადში 2500 ტონამდე ყურძნის მიღება და გადამუშავება ისე, რომ ყველა ტექნოლოგიური ოპერაცია ღვინისა და კონიაკის ბოთლში ჩამოსხმისა განხორციელდეს ადგილზე. ქარხანაში გვაქვს მცირე ზომის ენოტეკა, სადაც შემონახულია სხვადასხვა წლებში ჩამოსხმული ღვინის და კონიაკის ბრენდების მცირე ნაწილი, მათ შორის, ყველაზე ძველია 1969 წელს ჩამოსხმული ღვინო „ჩინური“, რა თქმა უნდა, შეცვლილი გემოვნური თვისებებით, მაგრამ უნიკალური ექსპონატი ქარხნის ისტორიისთვის.

თავიდანვე აქტიურად ჩავერთეთ პროექტში „10 ქართული ღვინო, რომელიც უნდა გასინჯო, სანამ ცოცხალი ხარ“, სადაც ჩვენი კომპანიის „საფერავმა“ თავის ნომინაციაში მოიპოვა გამარჯვებულის ტიტული, რაც საშუალებას მოგვცემს, სხვა საუკეთესო 9 ქართულ ღვინოსთან ერთად, ჩვენი საფერავი გახდეს ერთგვარი მეგზური, გიდი, როგორც უცხოელი ტურისტებისთვის, ასევე ბოთლის ღვინის ქართველი მომხმარებლისთვის, ღვინის, როგორც ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილის შემდგომი პოპულარიზაციის და უკეთ შეცნობის გზაზე.



***– რა მისწრაფებები გქონდათ ადრეულ ახალგაზრდობაში, წარმოადგენდა მეღვინეობა თქვენს ინტერესთა სფეროს?***

– ზოგადად, ამ და ანალოგიური პროფესიების არჩევა ხშირად კავშირშია ხოლმე მშობლების ინტერესებთან, როდესაც მშობლები არიან ამ პროფესიის ადამიანები, შვილებსაც უჩნდებათ სურვილი, ჩემს შემთხვევაში ასე არ ყოფილა, მშობლები იყვნენ სხვა პროფესიის, დედა გახლდათ მასწავლებელი, მამა გახლდათ ფუნქციონირი და ღვინოსთან, ასე ვთქვათ, პროფესიული შეხება არცერთს არ ჰქონია.

რაც შეეხება ჩემს არჩევანს, აქედან ძნელია, თითქმის 35 წლის წინანდელი არჩევანის მიზნობრიობა გავიხსენო, მაგრამ, ალბათ ასე იყო.

***– რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვები „ქართული ღვინო“ და რასთან ასოცირდება იგი?***

– ღვინო ჩემთვის ყოველთვის ასოცირდებოდა ზოგადად, ქვეყანასთან, კონკრეტულად მიწასთან, კულტურასთან, ტრადიციასთან და ამ ყველაფრის ერთობლიობამ, ალბათ, განაპირობა ჩემი არჩევანიც, თუმცა, ამ წლების გადასახედიდან არ ვნანობ.

***– რომელი სახეობის ღვინოს და კონიაკს აწარმოებს თქვენი ქარხანა?***

– კომპანია „ახალშენი 2005“ რომელსაც რამდენიმე წელია ვხელმძღვანელობ და სადაც უკვე 14 წელია ვმუშაობ, ოპერირებს ევროპის და აზიის, აგრეთვე, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების რიგ სავაჭრო ბაზრებზე და აწარმოებს სხვადასხვა ტიპის ღვინოს და კონიაკს, ბრენდს.

***– რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დღეს ქართულ ღვინოს ქართველი კაცის ცხოვრებაში , როგორც მეღვინეს, რა დასკვნა მოგცათ წლების გამოცდილებამ?***



– გარკვეული გარემოებების გამო, მეღვინეობის დარგი, პრაქტიკულად თითქმის ერთადერთი სფეროა, ჩემი აზრით, ქვეყანაში, რომელიც განიცდის ყოველწლიურ პროგრესს, ეს გამოიხატება იმაში, რომ უკვე რამდენიმე წელია, არ რჩება ყურძენი გაუყიდავი და რეალურად ქართული მეღვინეობის პროდუქცია დიდი წარმატებით იყიდება, განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ.

***– ანუ, არის შესაბამისად დაფასებული დღეს ქვეყანაში ღვინო, როგორც მატერიალურ-კულტურული საგანძური?***

– ქვეყანაში კი, მაგრამ, გული მწყდება, რომ ჩვენს რაიონში დღემდე არ არსებობს იმ სიმძლავრის საწარმო, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფდა ყურძნის გადამუშავებას და ღვინის ადგილზე ჩამოსხმას. ალბათ, სახელმწიფოს და კერძო სექტორის ერთობლივი მუშაობით აღნიშნული პროექტის განხორციელება, მეტად საშურ საქმეს წარმოადგენს, რადგან, დღეს შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ყურძენი გაუყიდავი მაინც არ რჩება, მაგრამ, მერწმუნეთ, სულ მალედადგება დრო, ეს პრობლემა წარმოიშვება, როგორც ეს ხდებოდა წლების წინ, გლეხები, ფერმერები პრობლემების წინაშე დადგებიან და მაშინ უკვე გვიანი იქნება.

***– თქვენი წყალობით, მაისის თვეში ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვა ბათუმის საერთაშორისო ფესტივალზე და მთავარი ჯილდოს მფლობელი გახდა, რატომ არის თქვენთვის პრიორიტეტული ფოლკლორის მხარდაჭერა და რამდენად უკავშირებთ ქვეყნის პოპულარიზაციას ღვინოსთან ერთად ხალხურ სიმღერას? რატომ მაინცდამაინც ეს მიმართულება?***

– ალბათ, არ ღირდა სპონსორობის საკითხზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ, რადგან მეკითხებით, გეტყვით, რომ დღეს ქვეყანაში არ არსებობს კანონი, რომელიც სპონსორებს რამენაირად წაახალისებდა. თითქმის ყველა ან მსგავს შემთხვევაში სპონსორის მიზიდულობის ხიბლი არის ხოლმე ან პიროვნული ურთიერთობები ან ის სფერო, რომელსაც აფინანსებს ესა თუ ის პიროვნება, იურიდიული ან ფიზიკური პირი. რა თქმა უნდა, ჩემთვის პოლიფონია, ზოგადად, და ხალხური სიმღერა კონკრეტულად, სულაც არ არის უმნიშვნელო და სულერთი, რადგან, ვთვლი, რომ საქართველო, თუ შეიძლება გამოჩნდეს მსოფლიო არენაზე, რამდენიმე კონკრეტული მიმართულებით, ერთ-ერთი უპირველესი სწორედ ეს მიმართულება გახლავთ, მაგრამ, ჩემს შემთხვევაში მაინც პიროვნულმა ურთიერთობებმა იძალა და კიდევ იმან, რომ წლებია, ამ ბავშვებს ვუსმენ, ვარ აღფრთოვანებული მათი ხელოვნებით და გადავწყვიტე, მცირეოდენი დახმარება გამეწია ამ ანსამბლის მიმართ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით, წარმატებები ვუსურვო ბავშვებს ჩემი მშობლიური რაიონიდან, მათ ხელმძღვანელს და მომავალშიც მზადყოფნას ვუცხადებთ მსგავსი ქმედებებისთვის .

***– მადლობა, ბატონო ვაჟა, კიდევ ერთხელ თანადგომისთვის, მადლობა საინტერესო საუბრისთვის, გილოცავთ ათეულში მოხვედრას, ბევრი გვსმენია თქვენი ნიჭისა და შესაძლებლობების თაობაზე, იმედი გვაქვს, კიდევ ბევრს შევიტყობთ მომავალშიც თქვენი ახალ-ახალი წარმატებების შესახებ.***

ელზა ხარაშვილი

# „მოვალთ იმედად ხვალის”...

ბედნიერებაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანებს ჰყოფნით ენთუზიაზმი, სიყვარული და გამძლეობა, ანაზღაურების შესაბამისი მოტივაციით არ აკეთებდნენ საქმეს. ასეთ შემთხვევაში, შრომა ვერ იქნებოდა ისეთი ნაყოფიერი, როგორიც №2 საბავშვო ბაღში რამოდენიმე დღის წინ ჩატარებული გამოსაშვები ღონისძიება გახლდათ. უკვე მერამდენედ დავესწარი პედაგოგ ქეთი გიგოლაშვილის ზეიმს, მაგრამ ყოველთვის მოლოდინს გადააჭარბა. 5-6 წლიანთა ჯგუფის გამოსაშვებ საღამოსაც უფრო მეჯლისს დავარქმევდი. ამდენი სანახაობრივი წარმოდგენა, ამდენი სამეჯლისო თუ ეროვნული ცეკვა, თვალს და გულს ახარებს, ახარებს უამრავ სტუმარს, მშობლებს თუ მასწავლებლებს.

შესავალი პატარებმა იმ ოთხი წელიწადის მიმოხილვით დაიწყეს, რომლიც მათ ქეთი მასწავლებელთან ერთად გაატარეს ამ ბაღში: -„სევდანარევი განწყობა გვეუფლება მშობლიური ბაღისა და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ამ ოთხი წლის მანძილზე გვეფერებოდნენ და ზრუნავდნენ ჩვენზე, ეს წლები ჩვენი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, რომელიც მეგზურად გაგვყვება ცოდნის სამყაროშიო“-გვპირდებიან ჩვენი ბავშვები, ჩვენი ხვალინდელი დღე. მათ გარეშე ხომ არც ლამაზად თენდება და არც ბედნიერი დღე დგება, არც სამყაროა ფერადი და არც გულს ემღერება, არც ოცნებები სრულდება და არც დრო ჩერდება...

„მშობლიური ჩვენი ბაღი დღეს
სკოლისკენ გვაცილებს,
ცელქ გოგონებს და ბიჭუნებს
სიყვარულით გვაცეკვებს“...

ცეკვა“ სანთლებით“ და „ვალსი“ თან მოჰყვება ამ შესავალს და პატარები გვაოცებენ ულამაზესი შესრულებით, მათი ტუჩების მოძრაობით ვხედავდით რიტმის თვლას და ვხედავდით მათ უდიდეს პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას. ხვალ მათ ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება და ისინი ამას უკვე ხვდებიან:“ დღევანდელ დღეს თან ახლავს სევდა, სევდა თქვენთან განშორების, რადგან დადგა დრო ბავშვობის პირველი საფეხურის დასრულებისა, ვეთხოვებით საბავშვო ბაღს, აღმზრდელებს და ჩვენს პატარა მეგობრებს „... სევდიანი გამოსამშვიდობებელი სიტყვების გარდა ღონისძიებას ბევრი მხიარული და სახალისო ნომრებიც ახლდა, დაიდგა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ნაწყვეტი, იყო უამრავი ლექსი და სიმღერა, მაგრამ ცეკვები მაინც სჭარბობდა, რაც ოდნავ განსხვავებულ, მაგრამ უფრო საინტერესო და მიმზიდველ ასპექტში წარმოაჩენდა ღონისძიებას. საღამოს დასასრულს ემოციური სიტყვით მიმართა აღსაზრდელებს ქეთი მასწავლებელმა, რომელსაც





ამ წლებმა უსაზღვროდ შეაყვარა ეს ბავშვები და ძალიან გაუჭირდება მათთან განშორება, მაგრამ რას ვიზამთ, წინ სხვა თაობები არიან რიგში, რომლებსაც ზუსტად ასეთი პედაგოგების იმედად ვაგზავნით მშობლები საბავშვო ბაღებში.

დასასრულს „მოვალთ იმედად ხვალის“ ვარსკვლავის გახსნა იყო მასწავლებლის სიურპრიზი ბავშვებისთვის უამრავ შუშხუნასთან და ჰაერში გაშვებულ ბუშტებთან ერთად.

ბოლოს საბავშვო ბაღის გამგემ მანანა ტოკლიკიშვილმა მადლობა გადაუხადა ქეთი გიგოლაშვილს, თანაშემწე ეკა წიკლაურს და მუსიკის მასწავლებელს აზა ლაპიაშვილს ლამაზი და საინტერესო ღონისძიებისთვის, მათთან ერთად ბავშვებსაც, რომელთაც უამრავი წინსვლა და წარმატება უსურვა მომავალში.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

# წითელას 4 შემთხვევა დედოფლისწყაროში

**წითელას შემთხვევები კახეთის რეგიონშიც დაფიქსირდა. მიმდინარე წელს წითელას ოთხი დადასტურებული შემთხვევაა, მათ შორის სამი დედოფლისწყაროში და ერთიც თელავის მუნიციპალიტეტში. კიდევ თითო დაუდასტურებელი შემთხვევაა სიღნაღსა და დედოფლისწყაროში, რომელიც ლაბორატორიულ დადასტურებას ელის. სამი ადამიანი სოფელ სამრეკლოში მცხოვრებია, 2 წლის ბავშვი კი ქალაქ დედოფლისწყაროდან. იანვრის თვიდან საგანგაშო ცნობები ვრცელდებოდა წითელას გავრცელების მასშტაბების შესახებ. განსაკუთრებით რთული ვითარება იყო აჭარის რეგიონში. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2017 წლის 1 დეკემბრიდან დღემდე საქართველოში წითელას 1285 შემთხვევა გამოვლინდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ სამია.**

დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ადასტურებენ, რომ წელს წითელას ოთხი შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან ერთ შემთხვევაზე თბილისიდან დასტური ჯერ არ მიუღიათ.

**ლალი ალადაშვილი** ***(დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე):*** „წელს სამი დადასტურებული შემთხვევა გვაქვს, ერთი კი სავარაუდო. პირველი სამი შემთხვევა თბილისში დადასტურდა. ქალაქ დედოფლისწყაროში 2 წლის ბავშვს აღმოაჩნდა, დანარჩენი ყველა შემთხვევა, მათ შორის უკანასკნელი ფაქტი, სოფელ სამრეკლოშია აღრიცხული და ისინი 25-40 წლამდე მამაკაცები არიან. წელს უფრო ზედა ასაკში შეინიშნება დაავადების გავრცელება. პირველ შემთხვევებში დაავადება საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობდა, ამიტომ პაციენტები თბილისში, ინფექციურ საავადმყოფოში გავგზავნეთ, სადაც მკურნალობის კურსი გაიარეს. თუმცა, რამდენიმე დღეში წითელა ერთერთი პაციენტის ძმასაც განუვითარდა. ბოლო შემთხვევაში ანალიზის თბილისში გადაგზავნა ვერ მოხერხდა, შესაბამისად დადასტურებული არ არის, თუმცა ამბულატორიას დაფიქსირებული აქვს, როგორც წითელა.

***– რა მონაცემები იყო გასულ წელს ამ კუთხით?***

– გასულ წელთან შედარებით ასეთი შემთხვევები მომატებულია, რადგან 2017 წელს არცერთი დადასტურებული ფაქტი არ დაფიქსირებულა. ორი სავარაუდო შემთხვევა იყო, თუმცა, მოგვიანებით ისინი თბილისის ინფექციურმა საავადმყოფომ გამოიკვლია და არ დადასტურდა.

***– რა კეთდება დედოფლისწყაროში საიმისოდ, რომ შემთხვევების მატება თავიდან ავიცილოთ? მით უფრო იმ ფონზე, როცა ცნობილია, რომ წელს საქართველოს მასშტაბით წითელას შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა...***

– დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი წითელასთან აქტიურ ბრძოლას ახორციელებს. მედიასაშუალებებით აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ წითელას შემთხვევები წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით არის მომატებული. ამდენად, მოსახლეობა სრულადაა ინფორმირებული და ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ დედოფლისწყაროს პრობლემა არ გახლავთ. უნდა ითქვას, ისიც, რომ დიდ ყურადღებას ვაქცევთ აცრებს. 1-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვებს ორჯერ უნდა ჰქონდეთ ამგვარი აცრები ჩატარებული. დედოფლისწყაროს ყველა სოფელში მოქმედი ამბულატორია ამას ძალიან ეფექტურად ახორციელებს. რაიონული ჯანდაცვის ცენტრიც პერიოდულ მონიტორინგს ახორციელებს, ინტენსიურად ვამოწმებთ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ფაქტობრივად არ გვყავს არცერთი ბავშვი, რომელიც 5 წლამდე ასაკში ორჯერადად არ იყოს წითელაზე აცრილი. ძალიან მცირე ოდენობა შეიძლება იყოს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ნევროპათოლოგის მიერ რაიმე უკუჩვენება გამოვლინდა.

***– რამდენად საშიშია წითელა?***

– ზოგადად წითელა საშიში დაავადებაა, გართულებები ახასიათებს. გართულების შემთხვევაში წითელა ენცეფალიტს იწვევს, შესაბამისად განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, რათა რთული შედეგი არ დადგეს. ვითარების გართულების თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გამოსავალია მასობრივი ვაქცინაცია. მშობლებს მოვუწოდებთ, რომ ყურადღებით იყვნენ და არ გამორჩეთ აცრები, დაიცვან მათი შვილების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ხშირად ვაძლევთ მოსახლეობას მითითებებს და რჩევა-დარიგებებს. აქტიურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ მედიასთან, გაზეთ „შირაქის“ საშუალებით ხშირად ვაწვდით ჩვენი მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს ინფორმაციას და რეკომენდაციას, ამა თუ იმ ინფექციასთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ ეფექტურად ვაწარმოებთ საინფორმაციო კამპანიას, რადგან თუ აქამდე 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ფიქსირდებოდა, ახლა ნათლად ჩანს, რომ მცირეწლოვანი ასაკის ბავშვებში წითელა არ გვხვდება. ასეთი მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო. სოფლებშიც აქტიურად გავდივართ ხოლმე, სკოლის მოსწავლეთა და საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა მშობლებს ვხვდებით და ადგილზე ვუწევთ კონსულტაციას. მნიშვნელოვანია მოქალაქეები დავარწმუნოთ, რომ ასეთი აცრების ჩატარება აუცილებელია. დაცვის ერთადერთი საშუალება ვაქცინაციის ჩატარებაა. თუ ბავშვი აცრილია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის რისკის ქვეშ აღარ დგას. ამაზე ნათლად მეტყველებს წლევანდელი მონაცემებიც.

***– რატომ გაიზარდა წითელას გამოვლინების შემთხვევები ზრდასრულ ასაკში და არა ბავშვებში?***

– ანუ, წითელამ ძირითადად იმ ასაკის მოქალაქეებში იჩინა თავი, სადაც წითელას ვაქცინაცია არ ტარდებოდა. ის თაობა, რომელიც არ არის აცრილი, სწორედ მათ ხვდებათ. ამიტომაც დაავადებათა კონტროლის ცენტრმაც შესაბამისი ნაბიჯები გადადგა. უკვე გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმადაც აცრები სწორედ იმ ასაკობრივ კატეგორიაში იწყება, სადაც მანამდე არ ხდებოდა. ანუ, 20-დან 40 წლამდე ასაკის მოქალაქეებს ვგულისხმობ. წელს შემოვიტანეთ წითელა-წითურას ვაქცინა და მასობრივ ვაქცინაციას ვახორციელებთ. რასაც წინ აქტიური საინფორმაციო კამპანია უძღვოდა. მარტის თვიდან მიმდინარეობს ეს პროცესი და ამ დროისთვის 510 ზრდასრული ადამიანია აცრილი.

***– როგორ ხდება წითელას ვირუსის გადაცემა და როგორ მოვიქცეთ, თუ დაავადებულ ადამიანთან კონტაქტი გვიწევს?***

– წითელას ვირუსი საყოფაცხოვრებო გზით, კონტაქტის დროს გადამდებია. თუ ადამიანი დაავადებულ პაციენტთან კონტაქტში მოხვდება, 90%-იანი შანსია, რომ მასაც გადაედოს. ერთადერთი გამონაკლისი მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ სპეციალური ვაქცინითაა აცრილი, ან უკვე გადატანილი აქვს წითელა. ამ შემთხვევაში ადამიანს უკვე მყარი იმუნიტეტი აქვს. დაავადებულ ადამიანთან კონტაქტირებული პირი სასწრაფოდ უნდა აიცრას. მისი დროული ვაქცინაცია კიდევ ერთი შანსია საიმისოდ, რომ არ გადაედოს და თავიდან აიცილოს ეს ინფექცია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაავადების დროულ აღრიცხვას, თუ პაციენტი დროულად მიმართავს ექიმს, ამ შემთხვევაში რაიონული ჯანდაცვის ცენტრი ერთვება, ეპიდლონისძიებებს ვატარებთ, ვცრით კონტაქტირებულ მოქალაქეებს, ეს კი საშუალებას გვაძლევს თავიდან ავირიდოთ წითელას გავრცელება. რაკი დაბალ ასაკში თითქმის აღარ გამოვლენილა და ასაკი გაიზარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავააქტიუროთ მუშაობა და ყურადღება გავამახვილოთ შუა ასაკის მოქალაქეებზე. ფაქტიურად ასეც ვიქცევით და ახლა მიმდინარე კამპანია სწორედ ამას მოწმობს. ამისთვის ვიღწვით, რომ მოვიცვათ სწორედ ეს ასაკობრივი ჯგუფი. აცრები კვლავაც გაგრძელდება“.

წითელა მწვავე ინფექციური ვირუსული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს სხეულის ტემპერატურის აწევა, ინტოქსიკაცია, ზემო სასუნთქი გზებისა და თვალის ლორწოვანი გარსების ანთება, ლაქოვან-კვანძოვანი გამონაყარი. წითელას ვირუსი ორგანიზმის გარეთ მალე იღუპება, ამიტომ ჯანმრთელ ადამიანს ეს ინფექცია გადაეცემა მხოლოდ ვირუსით ინფიცირებულისგან ჰაერწვეთოვანი გზით. ძირითადად ავადდებიან 1-დან 4 წლამდე ბავშვები. წითელას ფარული პერიოდი 8-10 დღე გრძელდება. ვირუსული დაავადების პირველი სიმპტომებია: მაღალი ტემპერატურა, მშრალი ხველა, სურდო, ქუთუთოების შეწითლება, მოთეთრო-მონაცრისფრო წერტილები ლოყის შიგნითა ნაწილზე. წითელა იწყება ტემპერატურის მომატებით, სურდოთი, ხველებით, თვალების წვითა და ტკივილით. ეს სიმპტომები ძირითადად 3-4 დღე გრძელდება, შემდეგ იწყება უკვე გამონაყარი. წითელასთვის დამახასიათებელი გამონაყარი იწყება სახიდან, კერძოდ შუბლის არიდან, შემდეგ კი ეტაპობრივად ვრცელდება სხეულის ქვედა ნაწილებში. გამოყრის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე დღის განმავლობაში. დაავადება კლინიკურად ერთნაირად ვლინდება დიდებშიც და პატარებშიც.

სიმპტომების დაწყებიდან დაახლოებით 2-3 დღის შემდეგ პირის ღრუში შეიძლება გაჩნდეს წვრილი თეთრი გამონაყარი, 5-6 დღის შემდეგ კი ავადმყოფის სხეულზე ჩნდება გამონაყარი. თავდაპირველად გამონაყარი ჩნდება სახეზე (შუბლზე), რომელიც შემდეგ ვრცელდება მთელ სხეულზე ზევიდან ქვევით (კისერი, ტორსი, ხელები, ფეხები, ტერფები). რამდენიმე დღეში ტემპერატურა იწევს დაბლა, იწყება გამონაყრის პიგმენტაცია და თანდათან ქრება.

ილია მარტყოფლიშვილი



**„1-დან 5-წლამდე ბავშვების აცრა ხდება, ამიტომ ახლა ასაკი გაიზარდა და წითელამ ისეთ ასაკობრივ ჯგუფში იჩინა თავი, სადაც აცრები არ ჩატარებულა. ამჯერად ახალი კამპანია დავიწყეთ და ვცრით 20-დან 40 წლამდე მოქალაქეებს, რადგან სამი შემთხვევა სწორედ ამ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდა“.**

# საველე სახანძრო საგუშაგო გაიხსნა




ალოობასთან დაკავშირებით შირაქში სახანძრო სამაშველო სამსახურის მობილური საველე პუნქტი გაიხსნა, სადაც მუდმივად 3 სახანძრო მანქანა მორიგეობს. მეხანძრეები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოინახულა და მათი სამუშაო განრიგით დაინტერესდა.. აღინიშნა, რომ სახნავ-სათეს ნაკვეთებთან ახლო პერიმეტრში სახანძრო ეკიპაჟების მორიგეობა მოსალოდნელი ხანძრების რაოდენობას და ზარალს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

იყო მოლოდინი, რომ სახანძრო სამსახურის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლასთან დაკავშირებით, შესაძლოა საველე სამორიგეო პუნქტები აღარ გახსნილიყო, რადგან ახალი ხელმძღვანელობა დამატებითი წერტილების ამოქმედების აუცილებლობას ვერ ხედავდა. ამის შესახებ დედოფლისწყაროში სტუმრად მყოფ სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილეს დედოფლისწყაროს მერი ესაუბრა და აღნიშნა, რომ ალოობის პროცესში მეტი ოპერატიულობისთვის აუცილებელია სახანძრო სამსახურის დამატებითი ეკიპაჟების მობილიზება მოხდეს სწორედ მინდვრად. მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ჯანიაშვილს საკითხის გარკვევას დაპირდა. 7 ივლისიდან კი მობილური საგუშაგო ამოქმედდა, რომელიც ზაფხულის განმავლობაში იმუშავებს.

# კიდევ ერთი ფურცელი ანცი ბავშვობის წლებიდან

ქალაქ დედოფლისწყაროს N 2 საბავშვო ბაგა - ბაღი მოწინავეთა შორის ტრადიციულად თავის ადგილს მუდამ იკავებდა და იკავებს ახლაც. ამ ბაღის დირექტორების და აღმზრდელ - მასწავლებლების გვარები ჩვენი რაიონის სკოლამდელი აღზრდის მატიანეში, ბევრ წარმატებულ მუშაკთან ერთად, ოქროს ასოებით ჩაიწერა. ამ ბაგა - ბაღის პირველი მესაძირკვლე მაყვალა პოპიაშვილი - გველუკაშვილი გახლდათ,რომელიც შემდგომში, როგორც სისტემის მეთოდისტი,დიდ როლს ასრულებდა მასწავლებელთა დახელოვნების საქმეში. მისი კარგად დაწყებული საქმე ზაირა ალუღიშვილმა გააგრძელა. ახალ, ტიპიურ, შენობაში გადასვლის შემდეგ გამგის ფუნქცია ზესნა ტოკლიკიშვილს ერგო წილად და იმდენ ხანს და ისე კარგად უძღვებოდა საქმეს, რომ დღესაც „ზესნას ბაღის“ სახელით მოიხსენებენ - ხოლმე. საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი ამ ბაღის აღმზრდელების: ციცინო ჩაფიაშვილის, დოდო გიგოლაშვილის, ელა გოგილაშვილის, ნიაზი პაპუაშვილის და სხვათა სახელები. თაობათა ცვლა დრომ მოიტანა და დღეს აქ სრულიად ახალი თანამშრომლები მოღვაწეობენ. ახალგაზრდა კოლექტივს ერთი ბერმუხა მაინც შემორჩა მეთოდისტ ნათელა თამაზაშვილის სახით, რომელსაც საბავშვო ბაღში მუშაობის ორმოცდასამწლიანი გამოცდილება აქვს.



– სულ ოთხი წელია, რაც დედაქალაქიდან დედოფლისწყაროში დავბრუნდი საცხოვრებლად. მართალია, განათლებით პედაგოგი ვარ და სკოლაში მუშაობის გამოცდილებაც საკმაოდ მაქვს, მაგრამ საბავშვო ბაღი მაინც სპეციპიკურია. ნათელა თამაზაშვილი არის ჩემი დასაყრდენი იმ ახალგაზრდა კოლექტივთან ერთად, რომელიც მუხლჩაუხრელად შრომობს და მომავალი თაობის აღზრდას პირნათლად ემსახურება. პირობებიც კარგი გვაქვს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი და მისი გუნდი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბავშვებს ბაგა - ბაღში შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ინვენტარი, კვების რაციონი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თბილი გარემო ჰქონდეთ. დღეისთვის ჩვენ 1 ბაგის და 5 ბაღის ჯგუფი გვაქვს, სულ 160 - მდე აღსაზრდელით. დამამთავრებელ 5 - 6 წლიანთა ამ ჯგუფში 27 ბავშვია. აქედან 18 სასკოლეა, 9 კი კიდევ ერთ წელს ბაღში გაატარებს. ამ ჯგუფის აღმზრდელი თამილა ტუხაშვილი ენერგიული და დაუღალავი პიროვნებაა. მისი მუშაობა დღევანდელ გამოსაშვებ საღამოზე თქვენც ნახეთ. მას ოთხი წლის განმავლობაში მხარში ედგა თანაშემწე მაია ზურაშვილი, რომელიც, სულ ახლახანს, დეკრეტულ შვებულებაში გავიდა. ის მარიამ ნატროშვილმა შეცვალა. ბავშვთა მუსიკალური განვითარებისა და, კონკრეტულად, ამ ზეიმის მომზადებისთვის ბევრი იშრომა მუსიკის მასწავლებელმა აზა ლაპიაშვილმა.ბავშვებს მზრუნველობას არ აკლებდა ძიძა ნაირა ქარჩაიანი, რისთვისაც დიდ მადლობას ვეუბნები თითოეულ მათგანს. ბაგა - ბაღში უმაღლეს დონეზეა დაცული ბავშვთა ჯანმრთელობისა და ჰიგიენის საქმე. ამას კი ექიმი - პედიატრი მანანა ბეგლარიშვილი და ექთანი თამუნა ჯალიაშვილი უძღვებიან. მე, თავის ქებაში ნუ ჩამითვლით, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ჩვენი ბაგა - ბაღი ერთერთი საუკეთესოა, – თქვა ჩვენთან საუბარში №2 ბაგა-ბაღის დირექტორმა მანანა ტოკლიკიშვილმა.



ზეიმი, რომელიც იმ დღით აქ ოცდაშვიდმა მშვენიერმა ბავშვმა გამართა, ნამდვილად დასამახსოვრებელი იყო. ლამაზად გაფორმებული დარბაზში კოხტა ვარდისფერ კაბებსა და თეთრ პერანგებში გამოწყობილი გოგო-ბიჭები საბავშვო ბაღთან გამოსათხოვარ, სკოლისკენ მიმავალ გზას, სამშობლოს, დედას და აღმზრდელ მასწავლებლებს უმღეროდნენ და ლექსებს უძღვნიდნენ. ზეიმი ნია ბაღაშვილმა, გიორგი გამხვეტელაშვილმა, ხატია გოგიჩაიშვილმა და ილია გურაშვილმა გახსნეს და მთელი ჯგუფის სახელით პირობა დადეს, რომ ის, რაც ამ ბაღის კედლებში მათ საყვარელმა აღმზრდელმა – მასწავლებლებმა ასწავლეს – ბოროტისა და კეთილის გარჩევა, სამშობლოს და ერთმანეთის სიყვარული, უფროსის პატივისცემა და უმცროსის არდაჩაგვრა, მეგობრობა და სხვა მრავალი, სულიერ საგზლად გაჰყვებათ ცხოვრების გზაზე და ყველა ეს კეთილი გრძნობა მათი სინდისის პირველი დარაჯი იქნება მუდამ. მერე ყველამ ერთად იმღერა „ჩვენი ბაღი ბაღნარია“, „მასწავლებელი“, „შენ რომ წიგნი მასწავლე“, „ნანასავით საამური აი ია“ და ბოლოს - „დგება განშორების ჟამი“. შეასრულეს როგორც ეროვნული, ასევე მსოფლიო ხალხების ცეკვები. ცეკვა „მთიულური“, „სამაია“ და “ნარნარი“ გოგონებმა დიდი გულმოდგინებით შეასრულეს, ბარბნარე ბაბაიანცმა და ხატია გოგიჩაიშვილმა „ოსური“ წარმოადგინეს, ბიჭებმა „კინტაური“ ჩამოუარეს. ილია გურაშვილმა და ნუცა დათუკიშვილმა, გიორგი გამხვეტელაშვილმა და სალომე ყოჩიაშვილმა, გიორგი მენთეშაშვილმა და მეგი სამხარაძემ ცეკვა „ქართული“ შეასრულეს: ანასტასია მაძღარაშვილმა დიდი ილიას სიტყვები მოიხმო-„ ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისაო“ და დაასკვნა, რომ მომავალში, როცა დიდები გახდებიან, გონების თვალით შეაფასებენ თავიანთი აღმზრდელების ამაგს, შრომას და სიკეთეს. ქეთევან ჯინაშვილმა, დინა ჯალიაშვილმა, ლიზი ბანაშევსკაიამ, დემეტრე ბექაურმა, ანა ხოლოდნოვმა წიგნსა და ცოდნას შეასხეს ქება. ყველა ბავშვი ცდილობდა, თავი მოეწონებინა მსმენელისათვის ცეკვით, სიმღერით, დეკლამაციით. მათ წარმოადგინეს ინსცენირებები ზარმაცი გიგოსა და უსწავლელი მათხოვრის შესახებ, რომლის მაგალითზეც გიგო მიხვდა თავის შეცდომას და დანაშაულს საკუთარი თავის წინაშე. „არ მიგატოვებთ არასდროს, ჩვენი პატარა გულები, გლოცავთ და გიხდით მადლობას, ჩვენთვის რომ ასე ილვწოდით“- ეს დემეტრე რობიტაშვილი იხდის მადლობას თანაჯგუფელების სახელით. თანაჯგუფელებს სკოლისკენ გზა დაულოცეს ნათია ბოსტოღანაშვილმა, ანა ბოსტაშვილმა, გიორგი ბიკაშვილმა, ბარბარე გიგოლაშვილმა, დავით დარიბეგოვმა, ელენე დავითაშვილმა, თიკო ჩემიამ, მარიამ ჩუბინიძემ, რატი კვანჭიანმა, რომლებიც ჯერ სკოლაში არ მიდიან და კიდევ ერთ წელს გაატარებენ ბაღში. ორიგინალურად დაემშვიდობა თამილა მასწავლებელი თავის გაზრდილებს. ისინი სათითაოდ გამოიძახა შერქმეული სახელებით-ზოგი ყველაზე წყნარი, ზოგი ყველაზე თეატრალური, ყოჩაღი, ნიჭიერი, მოწესრიგებული, მშვენიერი, თბილი, კეთილი, თამამი, მოკრძალებული იყო და მათ გადასცა სიგელები გამოსაშვებ ალბომთან ერთად. დარბაზი ფოერვერკის ფანტელებმა დაფარა. მერე ყველამ ეზოში გადაინაცვლა, სადაც გაუშვეს საჰაერო ბუშტები, მოძრავი თამაშებით გახალისდნენ, გადაიღეს სამახსოვრო სურათები და ვიდეო.



ზეიმს გამოცდილების გაზიარების მიზნით ქალაქის №3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები და სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ. როგორც მშობელმა ბაღის კოლექტივს მადლობა გადაუხადა სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილემ თათია ბენაშვილმა.

ნაირა გორაშვილი




გაზეთ „შირაქის" რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.

## 1956 WLIS IVLISI

◆ MOSAVLIS AREBIS DREEBSI SAMEDICINO SEMOWMEBA DAWESDA. MARCVLEULIS MKIS METAD SAPASUXISMGEBLO SAQMIS DROS MINDVRAD MOMUSAVETA JANMRTELOBIS KONTROLIS MIZNIT OZAANIS SAEQIMO UBANI XSNIS SAFERSLO PUNQTEBS `TAVWYAROZE~ DA SIRAQSI. ES PUNQTEBI UZRUNVELYOFILI IQNEBA KVALIFICIURI MOMSAXURE PERSONALIT, PIRVELADI DAXMAREBIS MEDIKAMENTEBIT DA SESABAMISI ARWURVILOBIT. GARDA IMISA, ROM TETRXALATIANEBI MINDVRAD MOMUSAVETA JANMRTELOBAZE IZRUNEBEN, ISINI MOSAVLIS AREBIS DREEBSI MINDVRAD MOMUSAVE KOLMEURNEEBTAN WAIKITXAVEN LEQCIA-MOXSENEBEBS JANMRTELOBIS SENARCUNEBIS SAKITXEBZE DA JANSARI CXOVREBIS WESZE.

◆ WITELWYAROS RAIONSI ARSEBULI SASMELI WYLEBIS UMETESI NAWILIS SANITARULI MDGOMAREOBA ARADAMAKMAYOFILEBELIA. ASET WYLEBS MIEKUTVNEBA RAIONIS CENTRSI ARSEBULI `SAQNAVTIS~ KOMUNALURI KANTORIS DAQVEMDEBAREBIS, RAIONIS KOMUNALURI GANYOFILEBIS, QARTUL SASUALO SKOLASTAN MDEBARE, ORJONIKIZIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS TERITORIAZE MDEBARE WYAROEBI. TAVWYARODAN GAMARJVEBISA DA ZEMO MACXAANSI GAYVANILI WYALI, SOFEL ARBOSIKIS WYAROS WYLEBI DA SXVA. IMISATVIS,. ROM MOSAXLEOBAM MIIROS JANSARI SASMELI WYALI, SAWIROA RAIONSI ARSEBUL WYALGAYVANILOBATA SANITARUL WESRIGSI MOYVANA. AM MIZNIT RAISABWOS ARMASKOMMA GANIXILA ARNISNULI SAKITXI DA DAAVALA `SAQNAVTISA~ DA RAIONIS KOMUNALUR KANTOREBS WYALSAQACAVI REZERVUARIS SANITARULI DACVA, SAQLORATORO DANADGARIS MOWYOBA DA WYLIS MUDMIVI QLORIREBA. ASEVE DAVALEBAA GACEMULI MOXDES GAYVANILOBIS SRULI REMONTI DA SXVA.

◆ GAMARJVEBIS MTS-S DAEVALA TAVWYAROS WYLIS SATAVE NAGEBOBIS SEKETEBA DA MISI KETILMOWYOBA, XOLO GAMARJVEBIS JDANOVI SAXELOBIS KOLMEURNEOBAS ARNISNULI WYLIS MUDMIVI QLORACIIS UZRUNVELYOFA. `SAQNAVTIS~ BURRVI KANTORAS MIECA DAVALEBA ALAZNIS WYALSADENZED ZVELI SAFILTRACIO AUZEBIS SEKETEBA DA MISI GANAXLEBA. ARBOSIKIS KALININIS SAXELOBIS KOLMEURNEOBAS DA SASOFLO SABWOS DAEVALA WYAROEBIS KETILMOWYOBA-REKONSTRUQCIA DA WYLIS XARISXIS KONTROLI. ES YOVELIVE MOXDA 16 TEBERVLIS SXDOMAZE. MIUXEDAVAD IMISA, ROM SAKMAO DROM GANVLO, ARCERT ORGANIZACIAS ARMASKOMIS ES DADGENILEBA ODNAVADAC AR SEUSRULEBIA. SAWIROA, AM ORGANIZACIEBMA DA MATMA XELMZRVANELEBMA IGRZNON DA DAUYOVNEBLIV AASRULON DADGENILEBA DA AMIT MOSAXLEOBA JANSARI SASMELI WYLIT UZRUNVELHYON.

◆ KEDLIS GAZETEBIS REDAQTORTA DA `AXALI SIRAQIS~ KORESPONDENTTA ZONALURI TATBIRI GAIMARTA. MOSAVLIS AREBASTAN DAKAVSIREBIT SOFEL ARBOSIKSI CATARDA KOLMEURNEOBEBIS KEDLIS GAZETIS REDAQTORTA DA CVENI GAZETIS KORESPONDENTEBIS SATATBIRO MUSAOBA. MAS 15 KACI DAESWRO. MOSAVLIS AREBIS PERIODSI KEDLIS GAZETEBIS REDKOLEGIEBISA DA KORESPONDENTTA AMOCANEBIS SESAXEB SITYVIT GAMOVIDA `AXALI SIRAQIS~ REDAQCIIS MSROMELTA WERILEBIS GANYOFILEBIS GAMGE AMXANAGI T. POPIASVILI. MAN DAMSWRET TEMATURAD MUSAOBIS AMOCANEBI DAUSAXA.

◆ QEDIS ZONA 2 500-MDE KOMLS ITVLIS, DIDI RAODENOBIS TANXEBI IXARJEBA AM SOFLEBIS KETILMOWYOBISTVIS, MAGRAM AQAURI MOSAXLEOBIS CXOVREBA MAINC AR UMJOBESDEBA. AUSRULEBEL DAPIREBEBS BOLO UNDA MOEROS. WYLIT MOMARAGEBIS SAQME KVLAV MOUGVAREBELIA. QVEMO QEDIS, ARXILOSKALOS, ZEMO QEDIS MOSAXLEOBA WYALS ALAZANIDAN IREBS. CVENI GAZETIS FURCLEBZE ARAERTXEL YOFILA MOTAVSEBULI KRITIKULI WERILEBI, SADAC QEDELI MSROMELEBI SAMARTLIAN SAYVEDURS GAMOSTQVAMDNEN WYALSAQACIS ARADAMAKMAYOFILEBEL MUSAOBAZE. DRO GADIS, MDGOMAREOBA KI UCVLELI RCEBA. AXLA, ROCA MINDVRAD GACXOVELEBULI MUSAOBAA DA TEMPERATURAC PIKS ARWEVS, SAGRZNOBLAD GAIZARDA WYALZE MOTXOVNILEBA. QEDELI KOLMEURNEEBIS WYLIT NORMALURAD MOMARAGEBAZE KI ARAVIN AR FIQROBS. SAWIROA GADAWRIT GAUMJOBESDES AM DIDI ZONIS MACXOVREBLEBIS PROBLEMA DA GAUMJOBESDES WYLIS MIWODEBA.

## 1961 WLIS IVLISI

◆ SIRAQIS MEQATMEOBIS SABWOTA MEURNEOBA DRITIDRE KETILMOWYOBILI XDEBA. AQ AM OR WELIWADSI RAMDENIME KULTURULI BINA AASENES FRINVELEBISTVIS DA SACXOVREBELI BINEBI MUSA-MOSAMSAXURETATVIS. IQVE GAXSNIS SASADILOC, MAGRAM.... PROBLEMA IMASI MDGOMAREOBS, ROM SASADILO VER AMARTLEBS AM MCNEBAS. MISI GARETA KEDLEBI WVIMISAGAN CAMORECXILIA, ZALZE WUWYIANIA KARFANJREBI DA WERI. SASADILOSI SUSTAD AWARMOEBEN BUZEBIS WINAARMDEG BRZOLAS, DARBAZSI UAMRAVI MWERIA, ROMELIC TAVS MOGABEZREBT DA SAKVEBS ZED ASXDEBA. SASADILOS SENOBIS SEKETEBA WESISAMEBR MEURNEOBIS DIREQCIIS VALIA, MAGRAM AMAS IGI YURADREBIS RIRSADAC AR TVLIS. SASADILOSI MXOLOD ERTI KACI MUSAOBS DA, CXADIA, IS VER GASWVDEBA YVELA SAQMES.


ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება დაბა წითელწყარო. მალენკოვის ქუჩაზე რაიკოოპკავშირმა ორსართულიანი შენობა ააგო, პირველ სართულზე უნივერმაღია, მეორეზე კი საცხოვრებლები.

MEORE WELIA, RAC SAAVADMYOFO-POLIKLINIKURI GAERTIANEBIS XAZIT MEFRINVELEOBIS MEURNEOBIS TERITORIAZE GAIXSNA ERTJGUFIANI SABAVSVO BAGA, ROMELSIC 20 BAVSGVI UNDA ERTIANDEBODES. MAGRAM ROGORC BARIS GAMGEM TQVA, 8 BAVSVZE METI AR HYOLIAT, XSIRAD KI 4-5. AMASTAN BAVSVEBI ARIAN ARA BAGIS, ARAMED BARIS ASAKIS. KVEBIS NORMEBI KI ISEV BAGIS ASAKISA AQVT. ANU, ARC KVEBIS SAQMEA MOGVAREBULI. BAGASI 5-MDE BAVSVI DA 7 MOMSAXURE PERSONALIA. ANU MOMSAXURE PERSONALI MODIS TITOZE METI. ZVELI DA WUWYIANIA SAWOLEBI DA TETREULIC. MEURNEOBIS MUSATA SASADILOS DA BAVSVTA BAGIS MDGOMAREOBA SERIOZUL YURADREBAS MOITXOVS.

(STILI DACULIA)

MOAMZADA
ილია მარტყოფლიშვილმა

## ხსოვნა

# არსენ ყოჩიაშვილი

„კაცმა, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა", უკვე ერთი წელია, ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა. ამ სათაურით გაზეთ „შირაქში" გამოქვეყნებულმა სტატიამ, რომელშიც ჟურნალისტი ნაირა გორაშვილი არსენ ყოჩიაშვილის, ამ რკინას შეჭიდებული კაცის საინტერესო ცხოვრებასა და მის გამორჩეულ სიყვარულზე ისტორიასა და ლიტერატურაზე მოგვითხრობდა, უკურნებელი სენით შეპყრობილ კაცს სიცოცხლე გაუხანგრძლივა. სასთუმალთან ედო გაზეთი და მნახველებს სიამაყით აჩვენებდა, მაგრამ სიკვდილი მაინც მოვიდა.

შესანიშნავი პიროვნება, მაღალი ინტელექტისა და ერუდიციის მქონე, თავაზიანი, მზრუნველი მეუღლე, მოსიყვარულე მამა და პაპა–ასეთი დაამახსოვრდა იგი დედოფლისწყაროელებს.

მუდამ სიკეთესა და სათნოებას თესავდა. ილია მართალი გვმოძღვრავდა, რომ ხალხის სიყვარული საქმეში იკითხება, ცხოვრების გზაზე შენი სწორად გადადგმული ნაბიჯებით, ქვეყნის საკეთილდღეოდ დახარჯული შრომით, კამკამა სინდისით იზომება და არა გულზე მჯიღის ცემითა და საქართველოს ფეხზე წამომდგარი სადღეგრძელოთი. სულხან-საბას უთქვამს: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანიო". ამ დევიზით იცხოვრა არსენამ, ამ არშინით უზომია თავისი და სხვისი კაცობის სიმაღლე.

„რამდენი ჩვენგან წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც,
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს".

კეთილი გულით გამორჩეული ადამიანის ცხოვრებით იცხოვრა. დიდი სინანულით ვიხსენებთ ჩვენს მწიგნობართა ასოციაციის წევრს, რომელიც ამ ქვეყანას 75 წლისა განეშორა. შენს შვილიშვილებს, შენს მოსახელე არსენაზე და დათოზე, რომლებზეც მზე და მთვარე ამოგდიოდა, არასოდეს დაავიწყდები. კარგი პაპა გვყავდაო, საქართველოს და მსოფლიოს ისტორია ზედმიწევნით კარგად იცოდაო. ამ სიტყვებით გიგონებენ ისინი.

საბედნიეროდ შენთან ურთიერთობა მაინც გრძელდება, რადგან ამ ურთიერთობაში დიდი სევდა და მოგონებაა.

მოგონება ერთადერთი სამოთხეა, საიდანაც ვერავინ გაგდებს, მოგონების უნარი უფლის საჩუქარია. მოგონება მორწმუნის ლოცვას ჰგავს, რაც უთქმელადაც შვებას გვგვრის.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული.

სული ერთადერთია ადამიანში, რომელიც კაცის სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს ცხოვრებას , ჩვენც გვჯერა სულის უკვდავებისა, ჩვენც გვჯერა რომ არსენას სული დღესაც ჩვენთან არის, თავს დასტრიალებს თავის ოჯახს და ახლობელ ადამიანებს.

არ შიძლება არ გავიხსენოთ უკვდავი ვაჟას კითხვა-„მაშ კარგ ყმად ვინ ვთქვათ, ვაჟებო?" და არსენ ყოჩიაშვილზე ფიქრისას ვპოულობთ პასუხს:

„აი, ვინაა კაი ყმა
მოსაგონარი ქებითა".

დიახ! კარგი ყმა იყო არსენა, ნადირობის და თევზაობის ტრფიალი, თხემით ტერფამდე ქართული ცნობიერების კაცი. უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა აწ და მარადიდს და უკუნითი უკუნისამდე ამინ!

**დედოფლისწყაროს მწიგნობართა რაიონული ორგანიზაციის და თანაკლასელების სახელით:**
ვანო ნატროშვილი, გენადი შიოლაშვილი, მერაბ ფიროსმანაშვილი, დავით ფხოველიშვილი, გივი ღვინიაშვილი, გურამ ნათელაძე, იაგო ყოჩიაშვილი, მერაბ როზიტაშვილი და თამაზ ჯანიაშვილი.

---

ლილი ბოჭორიშვილი, ჯიმი, ლია და გია ალულიშვილები, ლამარა, შალვა ლეკაშვილები, ქეთევან ჯანიაშვილი ოჯახებით იუწყებიან საუკეთესო მეზობლის და ღვაწლმოსილი პედაგოგის

მაღლენა პაპიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნაირა გორაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოგილაშვილის და გია ნატროშვილის ოჯახებს დის და მეუღლის

მარინა გოგილაშვილ-ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

---

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს კლინიკის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გოჩა გოგილაშვილს დის და გია ნატროშვილს მეუღლის

მარინა გოგილაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს განყოფილების გამგეობა და წევრები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ასოციაციის გამგეობის წევრს გია ნატროშვილის მეუღლის

მარინა გოგილაშვილ-ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ნაირა გორაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გიგილაშვილის და გია ნატროშვილს ოჯახებს დის და მეუღლის

მარინა გოგილაშვილ-ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

---

გელა გველუკაშვილი და ელზა ხარაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებენ გია, თორნიკე და თეონა ნატროშვილებს

მარინა გოგილაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ნოშრევან (თამაზ) ჯარიაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გია ნატროშვილს მეუღლის და ვაჟა ნატროშვილს ძმისცოლის

მარინა გოგილაშვილ-ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

---

მარინა ნასრაშვილი და აკაკი ოზაშვილი, ნაირა გორაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ეკა გიორგანაშვილს დის

ანა გიორგანაშვილის

გარდაცვალების გამო.

# ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობისთვის....

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიზიტის მართვის დეპარტამენტის, ბავშვთა და ახალგაზრდული განვითარების ფონდისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდა. გაცნობით ხასიათის შეხვედრაზე სამინისტროს წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების პრობლემებისა და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია ნიკოლოზ ჯანიაშვილის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრის ხელმძღვანელის აკაკი ნატროშვილისა და ცენტრის მთავარი სპეციალისტის ლელა ბილიაშვილისაგან მიიღეს.



შეხვედრაზე სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს. აღინიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობა კიდევ უფრო აქტიური გახდება, რაც არაერთი მნიშვნელოვანი ახალგაზრდული პროექტის განხორციელებას გულისხმობს.



# არც წყალი, არც — ინფორმაცია!

„წყალი, ერთი წვეთი წყალი...“ - ალბათ ყველას გახსოვთ ეს ფრაზა ქართული კინოფილმიდან. საუკუნეების წინ არსებული უწყლობის პრობლემა დედოფლისწყაროში ოცდამეერთე საუკუნეშიც აქტუალურია და ის განცდაც, რომ წყალს “გველეშაპი დაეპატრონა”...



ზაფხულის დადგომასთან ერთად ჩვენს რაიონში წყალმომარაგების საკითხი ყოველთვის მწვავედ დგება. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ადმინისტრაცია ყოველ წელს იმედს აძლევს მოსახლეობას, რომ მომავალი წელი წინაზე უკეთესი იქნება და ცხელ ზაფხულს წყლის გარეშე დარჩენა არ მოუწევთ, მაგრამ ამაოდ...

წლები გადის, ორგანიზაციის ხელმძღვანელები იცვლებიან, პრობლემა კი უცვლელი რჩება.

წელს, როცა განსაკუთრებულად ცხელი ზაფხული დაანონსდა, მოსახლეობა იმედოვნებდა, რომ თუ წყალმომარაგების 24-საათიანი რეჟიმი არ შენარჩუნდებოდა, გრაფიკი მაინც ისეთ სახეს მიიღებდა, რომ წყლით სარგებლობას შეძლებდნენ. ამის პირობას წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ახლადდანიშნული მენეჯერიც დებდა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია და როგორც ის მეტყველებს, პირობა მანაც დაარღვია. მიზეზად კვლავ არასაკმარისი დებეტი და წყლის გაზრდილი ხარჯვა სახელდება, ასევე ის დაზიანებები, რომელიც ქსელის გამართულად მუშაობას უნდა უზრუნველყოფდეს.

მოსახლეობის მოთხოვნა, რომ იცოდეს, როდის ექნება წყალი და რა ხანგრძლივობით, უგულებელყოფილია. გაზეთი “შირაქი” რამდენჯერმე დაუკავშირდა წყალმომარაგების კომპანიას და მის ხელმძღვანელს ნოდარ ფიროსმანაშვილს. ის დაგვპირდა, რომ გრაფიკს აუცილებლად გამოაქვეყნებდა და გაზეთის საშუალებით ხალხი ინფორმირებული იქნებოდა წყალმომარაგების სქემის თაობაზე, მაგრამ პირობა ამჯერადაც დაირღვა... ხელმძღვანელი გრაფიკის იძულებით დარღვევაზეც აკეთებს აქცენტს და ამბობს, რომ სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო მისი შეცვლა ხშირად უწევთ.

მოსახლეობას არ აინტერესებს, რა ხდება შიდა სამზარეულოში, მას შედეგი სჭირდება, რომელიც არადამაკმაყოფილებელია... დედოფლისწყაროსთვის წყალმომარაგების საკითხი აქილევსის ქუსლად რჩება და ზაფხულის ცხელ დღეებში მოსახლეობის ღაღადი: “წყალი, ერთი წვეთი წყალი” კვლავ არავის ესმის...


**იყიდება!**

სამოთახიანი ბინა სოკარის მოპირდაპირე მხარეს, ავტომაღაზიის მაღლა. მისამართი: რუსთაველის ქ. №4, კორპუსი 31, ბინა 9.
555 23 26 80
ფასი შეთანხმებით.


# ლიტერატურული კონკურსი



გაზეთ **„ლიტერატურული მესხეთის“** რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში. საკონკურსო მასალები მიიღება ავტორის მიერ შერჩეული ინდივიდუალური დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა, მეორე კონვერტით – ავტორის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა „ლიტერატურულ მესხეთის“ თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

***პირველი პრემია – 1000 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტისაგან;***

***მეორე პრემია – 500 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან;***

***ორ-ორი მესამე პრემია – 400-400 ლარი – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;***

***ასევე დაწესებულია ერთი სპეციალური პრემია – 400 ლარი, ნომინაციაში – რელიგიურ თემატიკაზე – ანდრია პირველწოდებულის სახელობის თბილისის ქართული უნივერსიტეტისაგან.***

გამარჯვებულების საზეიმო წარდგინება მოხდება ვარძიაში – „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე“, ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამა წლის სექტემბერში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით, არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა. ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 1 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე: 0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.3.

**გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.**

საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24

# ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 09.07 | | სამშაბათი 10.07 | | ოთხშაბათი 11.07 | | ხუთშაბათი 12.07 | | პარასკევი 13.07 | | შაბათი 14.07 | | კვირა 15.07 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 27 ° | 25 ° | 30 ° | 28 ° | 31 ° | 29 ° | 31 ° | 29 ° | 26 ° | 24 ° | 22 ° | 21 ° | 26 ° | 24 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.